სესხის ნომერი 6024-GEO

სასესხო შეთანხმება

(ჩვეულებრივი ოპერაციები)

(საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)

საქართველოსა

და

აზიის განვითარების ბანკს

შორის

დათარიღებული 9 დეკემბერი, 2019

სასესხო შეთანხმება

(ჩვეულებრივი ოპერაციები)

წინამდებარე სასესხო შეთანხმება, დათარიღებული 2019 წლის 9 დეკემბერი, საქართველოსა ("მსესხებელი") და აზიის განვითარების ბანკს ("ADB") შორის,

სადაც,

(ა) მსესხებელმა მიმართა ADB-ს სესხის გამოყოფის თაობაზე ADB-ის პროექტისადმი მზაობის დაფინანსების ("PRF") შესაბამისად, წინამდებარე სასესხო შეთანხმების განრიგი 1-ში აღწერილი პოტენციური პროექტებისთვის მოსამზადებელი აქტივობების დასაფინანსებლად ("PRF აქტივობები");

(ბ) PRF აქტივობები განხორციელდება PRF-ის განმახორციელებელი უწყებების მიერ (როგორც ეს განსაზღვრულია შემდგომში). ამ მიზნით მსესხებელი PRF-ის განმახორციელებელი უწყებებისთვის ხელმისაწვდომს გახდის სასესხო თანხას ADB-სთვის მისაღები, წინამდებარე შეთანხმებაში მოცემული ვადებისა და პირობების მიხედვით; და

(გ) ADB თანახმაა გასცეს სესხი მსესხებელზე ADB-ს ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან, წინამდებარე შეთანხმებაში და საპროექტო შეთანხმებებში (როგორც ეს განსაზღვრულია შემდგომში) ფორმულირებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

ამგვარად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I

სასესხო რეგულაციები; განმარტებები

პუნქტი 1.01. ADB-ს 2017 წლის 1 იანვრით დათარიღებული ჩვეულებრივი ოპერაციებისათვის განსაზღვრული სასესხო რეგულაციების ("სასესხო რეგულაციები") ყველა დებულება ვრცელდება წინამდებარე სასესხო შეთანხმებაზე იგივე ძალითა და ეფექტით, როგორიც მას ექნებოდა წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენის შემთხვევაში, შემდეგი ცვლილებების გათვალისწინებით:

(ა) სასესხო რეგულაციებში განსაზღვრული ტერმინის სახით გამოყენებული ტერმინი „პროექტი" უნდა შეიცვალოს ტერმინით „PRF აქტივობები".

(ბ) სასესხო რეგულაციებში განსაზღვრული ტერმინის სახით გამოყენებული ტერმინი "პროექტის განმახორციელებელი უწყება" უნდა შეიცვალოს ტერმინით „PRF-ის განმახორციელებელი უწყება".

პუნქტი 1.02. წინამდებარე სასესხო შეთანხმებაში გამოყენებულ რამდენიმე ტერმინს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია სასესხო რეგულაციებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წინამდებარე დოკუმენტში სხვაგვარად არის განმარტებული ან კონტექსტიდან სხვა რამ გამომდინარეობს. წინამდებარე სასესხო შეთანხმებაში გამოყენებულ დამატებით ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

(ა) „ამორტიზაციის განრიგი" ნიშნავს ამორტიზაციის განრიგს ათვისებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარად (იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სესხის რეფინანსირება ADB-ის მიერ), როგორც ეს განისაზღვრება წინამდებარე სასესხო შეთანხმების მე-2 განრიგით;

(ბ) „საკონსულტაციო მომსახურება" ნიშნავს, საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც ეს აღწერილია შესყიდვების რეგულაციებში და განსაზღვრულია შესყიდვების გეგმაში, რაც ფინანსდება სესხის თანხიდან;

(გ) „შემდგომი სასესხო შეთანხმება“ ნიშნავს სასესხო შეთანხმებას, რომელიც უნდა გაფორმდეს მსესხებელსა და ADB-ს შორის შემდგომი პროექტისთვის, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სესხის რეფინანსირებას;

(დ) "შემდგომი პროექტები(ები)" ნიშნავს პერსპექტიულ პროექტებს, რომლებიც უნდა დაფინანსდეს ADB-ის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე სასესხო შეთანხმების პირველი განრიგით განსაზღვრულ შერჩევის კრიტერიუმებს;

(ე) „არსებული სასესხო შეთანხმება“ ნიშნავს სასესხო შეთანხმებას, რომელიც გაფორმებულია მსესხებელსა და ADB-ს შორის ADB-ის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტისთვის, რომლის შესწორება უზრუნველყოფს სესხის რეფინანსირებას;

(ვ) "სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელო" ნიშნავს აზიის განვითარების ბანკის სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს (2017 წლის ვერსია, მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებით);

(ზ) „მგფ“ ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს;

(თ) „MRDI“ ნიშნავს მსესხებლის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;

(ი) „არასაკონსულტაციო მომსახურება“ მომსახურება ნიშნავს არასაკონსულტაციო მომსახურებას, როგორც ეს აღწერილია შესყიდვების რეგულაციებში და განსაზღვრულია შესყიდვების გეგმაში, რაც ფინანსდება სესხის თანხიდან;

(კ) PAM“ გულისხმობს პროექტის ადმინისტრირების სახელმძღვანელოს PRF აქტივობებისთვის, რომელიც დათარიღებულია 13 სექტემბერი, 2019 და შეთანხმებულია მსესხებელსა და ADB-ს შორის და რომელიც დროდადრო ექვემდებარება ცვლილებას, მსესხებლისა და ADB-ის შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების დაცვით;

(ლ) „PRF-ის განმახორციელებელი უწყება“ გულისხმობს (i) MRDI-ს ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს, რომელიც მისაღები იქნება ADB-სთვის და პასუხისმგებელი იქნება პროექტების განხორციელებაზე რეგიონებში; (ii) TCH-ს ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს, რომელიც მისაღები იქნება ADB-სთვის და პასუხისმგებელი იქნება პროექტების განხორციელებაზე თბილისში, რომლებიც ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც „PRF-ის განმახორციელებელი უწყებები“;

(მ) „PRF-ის შემსრულებელი უწყება“ ნიშნავს (i) MDF-ს ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს რომელიც მისაღები იქნება ADB-სთვის; (ii) RD ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს, რომელიც მისაღები იქნება ADB-სთვის; (iii) UWSCG-ს ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს, რომელიც მისაღები იქნება ADB-სთვის; (iv) TDF-ს ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს, რომელიც მისაღები იქნება ADB-სთვის, როგორც „PRF-ის შემსრულებელი უწყებებმა“;

(ნ) „შესყიდვის გეგმა“ გულისხმობს PRF აქტივობების შესყიდვის გეგმას, დათარიღებულს 13 სექტემბერი, 2019 და შეთანხმებულს მსესხებელსა და ADB-ს შორის, რომელიც დროდადრო ექვემდებარება განახლებას, შესყიდვების პოლიტიკის, შესყიდვების ინსტრუქციების, და ADB-თან შეთანხმებული სხვა ღონისძიებების შესაბამისად;

(ო) „შესყიდვის პოლიტიკა“ ნიშნავს ADB-ის შესყიდვების პოლიტიკას - საქონელი, სამუშაოები და საკონსულტაციო მომსახურებები (2017 წლის ვერსია, რომელიც დროდადრო ექვემდებარებოდა შესწორებას);

(ვ) „შესყიდვის ინსტრუქციები" გულისხმობს ADB-ის შესყიდვების ინსტრუქციებს ADB-ის მსესხებლებისთვის (2017 წლის ვერსია, რომელიც დროდადრო ექვემდებარებოდა შესწორებას);

(ტ) „საპროექტო შეთანხმება" ნიშნავს თითოეულ საპროექტო შეთანხმებას, რომელიც გაფორმებულია მათ შორის ADB-ს, MDF-ს და UWSCG შორის რეგიონებისთვის და საპროექტო შეთანხმებას, რომელიც გაფორმებულია მათ შორის ADB-ს, TCH და TDF შორის თბილისისთვის, რომელთაგან თითოეული დროდადრო ექვემდებარებოდა შესწორებას, და რომლებიც ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც „საპროექტო შეთანხმებები";

(რ) „რეფინანსირების თარიღი" ნიშნავს თარიღს არაუგვიანეს სესხის ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღისა, რომელიც ემთხვევა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთერთს (i) შემდგომი სასესხო შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს; (ii) შესწორებული არსებული სასესხო შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს; ან (iii) სხვა თარიღს, რომლის პერიოდულად შეთანხმება შესაძლებელია მსესხებელსა და ADB-ს შორის;

(ს) „რეგიონები" ნებისმიერი ტერიტორია თბილისის გარდა;

(ტ) RD - ნიშნავს MRDI-ის დაქვემდებარებაში არსებულ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

(უ) „მომსახურებები" ნიშნავს საკონსულტაციო მომსახურებებს ან არასაკონსულტაციო მომსახურებებს;

(ფ) SPS" გულისხმობს ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებს (2009 წლის ვერსია);

(ქ) "TCH" ნიშნავს ქალაქ თბილისის მერიას;

(ღ) "TDF" ნიშნავს თბილისის განვითარების ფონდს, არასამეწარმეო იურიდიული პირი (ააიპ); და

(ყ) "UWSCG" ნიშნავს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას

მუხლი II

სესხი

პუნქტი 2.01. (ა) ADB თანახმაა ADB-ის ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან გასცეს სესხი მსესხებელზე ცამეტი მილიონ ხუთას ორმოცდაათი ათასი ევროს ოდენობით (€13,550,000), იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული თანხა შესაძლოა დროდადრო კონვერტირებულ იქნას ვალუტის კურსის მიხედვით, წინამდებარე სასესხო შეთანხმების პუნქტი 2.06-ში მოცემული დებულებების შესაბამისად.

(ბ) სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა შეადგენს 12 წელს, ხოლო საშეღავათო პერიოდი განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ ქვეპუნქტში (გ).

(გ) ტერმინი „საშეღავათო პერიოდი", რომელიც გამოყენებულია ამ პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში, გულისხმობს პერიოდს, სესხის ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღამდე, ამორტიზაციის გაწრიგის შესაბამისად.

პუნქტი 2.02 მსესხებელი გადაუხდის ADB-ს პროცენტს ათვისებულ და დაუბრუნებელ სესხის თანხაზე დროდადრო თითოეულ საპროცენტო პერიოდში განაკვეთით, რომელიც ტოლია შემდეგ საკრებელთა ჯამისა:

(ა) Euribor; და

(ბ) 0.60%, როგორც ეს განსაზღვრულია სასესხო რეგულაციების პუნქტში 3.02, და გამოკლებული შეღავათის განაკვეთი 0.10%-ის ოდენობით, როგორც ეს სასესხო რეგულაციების 3.03 პუნქტშია განსაზღვრული.

პუნქტი 2.03. სესხზე დარიცხული პროცენტი გადახდილი უნდა იყოს წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის 15 თებერვალი და 15 აგვისტო.

პუნქტი 2.04. სასესხო ანგარიშიდან გამოტანილი სესხის ძირითად თანხას მსესხებელი დაფარავს წინამდებარე სასესხო შეთანხმების 2 განრიგში მოცემული დებულებების შესაბამისად.

პუნქტი 2.05. იმ შემთხვევაში თუ მოხდება სესხის რეფინანსირება ADB-ის მიერ შემდგომი სასესხო შეთანხმების ან არსებული სასესხო შეთანხმების შესაბამისად, რეფინანსირების თარიღისათვის:

(ა) სასესხო ანგარიშიდან გამოტანილი სესხის ძირითად თანხას დარიცხულ პროცენტთან ერთად მსესხებელი დაფარავს შემდგომი სასესხო შეთანხმების ან არსებული სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისად; და

(ბ) მსესხებელს შეუწყდება უფლება გამოიტანოს თანხები სასესხო ანგარიშიდან და გაუქმდება სესხის ნებისმიერი აუთვისებელი თანხა.

პუნქტი 2.06. (ა) მსესხებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სესხის პირობებში შემდეგი ცვლილების შეტანა, რათა ხელი შეუწყოს სესხის გონივრულ მართვას:

(i) სესხის ძირითადი თანხის მთლიანი ან ნაწილობრივი, ათვისებული ან აუთვისებელი ნაწილის სესხის ვალუტის შეცვლა დამტკიცებული ვალუტით;

(ii) ათვისებული და დაუბრუნებელი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის სამაზრისო ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული განაკვეთით ან პირიქით შეცვლა; და

(iii) ათვისებული და დაუბრუნებელი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის ცვლად განაკვეთზე ლიმიტების დაწესება, ცვლად განაკვეთზე საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის ან საპროცენტო განაკვეთის ქვედა ზღვრის დადგენის გზით.

(ბ) წინამდებარე პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად საჭირო ნებისმიერი ცვლილება, რომელიც დადასტურებულია ADB-ის მიერ, უნდა განისაზღვროს როგორც „კონვერტირება", როგორც ეს განმარტებულია სასესხო რეგულაციების 2.01 (ვ) პუნქტში და შევიდეს ძალაში სასესხო რეგულაციების V მუხლის და კონვერტირების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

მუხლი III

სესხის თანხის გამოყენება

პუნქტი 3.01. მსესხებელი PRF-ის განმახორციელებელი უწყებებისთვის ხელმისაწვდომს გახდის სასესხო თანხას ADB-სთვის მისაღები ვადებისა და პირობების მიხედვით PRF-ის აქტივობების შესაბამისი წაწილების განსახორციელებლად და PRF-ის განმახორციელებელი უწყებებისგან მოითხოვს აღნიშნული თანხების ექსკლუზიურად PRF-ის აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენებას წინამდებარე სასესხო შეთანხმებისა და შესაბამისი საპროექტო შეთანხმებების თანახმად.

პუნქტი 3.02. სესხის თანხების გამოთხოვა და გამოყენება უნდა მოხდეს წინამდებარე სასესხო შეთანხმების განრიგი 3-ში მოცემული პირობების შესაბამისად, რომელიც დროდადრო ექვემდებარება ცვლილებას მსესხებელსა და ADB-ს შორის შეთანხმების საფუძველზე.

პუნქტი 3.03. თუკი სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული ADB-თან, მსესხებელი უზრუნველყოფს ან ქმნის პირობებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დანახარჯების დაფინანსება გახორციელდეს სასესხო თანხებიდან, წინამდებარე შეთანხმების განრიგი 4-ში შესული დებულებების შესაბამისად.

პუნქტი 3.04. სასესხო ანგარიშიდან მომსახურებებთან დაკავშირებით თანხის გატანა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება შემდეგთან:

(ა) მომსახურებები ADB-ის ისეთი წევრი ქვეყნებიდან, რომლებიც ADB-ის მიერ დროდადრო განისაზღვრება შესყიდვების დასაშვებ წყაროებად; და

(ბ) მომსახურებები, რომლებიც აკმაყოფილებს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც დროდადრო განსაზღვრავს ADB.

პუნქტი 3.05. სასესხო რეგულაციების 9.02 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სესხის დახურვის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 30 დეკემბერი, ან სხვა ისეთი თარიღი, რომელზეც მსესხებელი და ADB-ს დროდადრო შეთანხმდებიან.

მუხლი IV
განსაკუთრებული პირობები

პუნქტი 4.01. PRF-ის აქტივობებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების პროცესში, მსესხებელმა უნდა შეასრულოს ან უზრუნველყოს წინამდებარე სასესხო შეთანხმების მე-4 განრიგში მოცემული ყველა ვალდებულების შესრულება.

პუნქტი 4.02. (ა) PRF-ის განმახორციელებელი უწყებებისა და/ან PRF-ის შემსრულებელი უწყებების მეშვეობით მსესხებელმა უნდა (i) იქონიოს ცალკე ანგარიშები და დოკუმენტაცია აღნიშნული PRF-ის აქტივობებისთვის; (ii) მოამზადოს PRF-ის აქტივობების წლიური ფინანსური ანგარიშგება, ADB-ისთვის მისაღები ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად; (iii) ყოველწლიურად განახორციელებინოს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი დამოუკიდებელ აუდიტორებს, რომელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია მისაღებია ADB-ისთვის, ADB-ისთვის მისაღები აუდიტორული სტანდარტების შესაბამისად; (iv) თითოეული მსგავსი აუდიტის შემთხვევაში აუდიტორებს მოამზადებინოს დასკვნა, რომელშიც მოცემული იქნება აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებასთან და სასესხო თანხების გამოყენებასთან დაკავშირებით და ასევე ხელმძღვანელობის წერილი (რომელიც განსაზღვრავს PRF-ის აქტივობების შიდა კონტროლის კუთხით არსებულ ნაკლოვანებებს, რომლებიც აღმოჩენილ იქნა აუდიტის მიერ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და (v) ფისკალური წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 6 თვის ვადაში ADB-ს წარუდგინოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების, აუდიტის დასკვნისა და ხელმძღვანელობის წერილის ასლები, ინგლისურ ენაზე და ასევე აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, დროდადრო ADB-ს გონივრული მოთხოვნის შესაბამისად.

(ბ) ADB საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს PRF-ის აქტივობების აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და მასთან დაკავშირებულ აუდიტის დასკვნას, ADB-ის მიერ აღიარებული დოკუმენტების ADB-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებით მიღების დადასტურებიდან 14 დღის ვადაში.

(გ) მსესხებელმა საშუალება უნდა მისცეს ADB-ს, მისივე მოთხოვნის შესაბამისად, წინამდებარე პუნქტის (ა)(iii) ქვეპუნქტის შესაბამისად დაქირავებულ აუდიტორებთან ერთად განიხილოს ფინანსური ანგარიშგება PRF აქტივობებთან და მსესხებლის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით, თუ ეს დაკავშირებულია PRF აქტივობებთან და უფლებამოსილება მიანიჭოს და მოსთხოვოს აღნიშნული აუდიტორების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ განხილვებში, ADB-ს მოთხოვნის შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განხილვები უნდა ჩატარდეს მხოლოდ მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მსესხებელთან არ მოხდება სხვაგვარად შეთანხმება.

პუნქტი 4.03. მსესხებელს PRF-ის განმახორციელებელი უწყებების მეშვეობით შესაძლებლობა უნდა მისცეს ADB-ს წარმომადგენლებს განახორციელონ PRF აქტივობებისა და შესაბამისი აწგარიშებისა და დოკუმენტაციის იინსპექტირება.

პუნქტი 4.04. თავის მხრივ, მსესხებელმა უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომელიც საჭიროა PRF-ის განმახორციელებელი უწყებებისა და PRF-ის შემსრულებელი უწყებებისთვის, რათა მათ შეძლონ ვალდებულებების შესრულება საპროექტო შეთანხმების ფარგლებში და არ უნდა განახორციელოს ან დაუშვას ისეთი ქმედება, რაც ხელს შეუშლის ამგვარი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი V
ძალაში შესვლა

პუნქტი 5.01. სასესხო რეგულაციების 10.04 პუნქტის მიზნობრიობიდან გამომდინარე, წინამდებარე სასესხო შეთანხმება ძალაში შესულად ჩაითვლება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 60 დღის შემდეგ.

მუხლი VI
სხვადასხვა

პუნქტი 6.01. მსესხებელი ქვეყნის ფინანსთა მინისტრი მიიჩნევა მსესხებლის წარმომადგენლად სასესხო რეგულაციების 12.02 პუნქტში განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე.

პუნქტი 6.02. ქვემოთ მოყვანილი მისამართები განსაზღვრულია სასესხო რეგულაციების 12.01 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე:

<u>მსესხებლისათვის</u>

ფინანსთა სამინისტრო
3. გორგასლის ქუჩა No16, 0114
თბილისი, საქართველო

ფაქსი:
(99532) 2262 423

<u>ADB-ისთვის</u>

აზიის განვითარების ბანკი
6 აზიის განვითარების ბანკის გამზირი
ქალაქი მანდალუიონგი
1550 მეტრო მანილა
ფილიპინები

ფაქსი:

(632) 8636-2444
(632) 8636-2484.

რის დასტურადაც, წინამდებარე შეთანხმების მხარეები, მოქმედებენ რა თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ წინამდებარე სასესხო შეთანხმებას და უზრუნველყოფენ მის მიწოდებას ADB-ის პირითად ოფისში, ზემოთ მითითებულ წელსა და რიცხვში.

საქართველოს სახელით

_____

ივანე მაჭავარიანი
მინისტრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

აზიის განვითარების ბანკის სახელით

_____

შეინ როზენტალი
საქართველოს მუდმივი
წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

განრიგი I

PRF აქტივობების აღწერა

1. PRF აქტივობები შემდგომი პროექტებისთვის მოიცავს:

(ა) უკვე დასრულდა ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, დეტალური დიზაინის დოკუმენტაცია და დეტალური დიზაინის პროექტის დასაბუთება;

(ბ) წინასწარი შესყიდვის ღონისძიებები, მათ შორის შესყიდვის დოკუმენტების მომზადება და ღონისძიებები; და

(გ) შესაძლებლობების შექმნისა და ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებები ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების განხორციელებისა და მართვის მიზნით, მათ შორის ინსტიტუციური შესაძლებლობების შექმნის გეგმის მომზადება ურბანული სერვისების თითოეული ძირითადი პროვაიდერებისთვის (მაგ. წყალმომარაგება და წყალარინება, მყარი ნარჩენების მართვა და ურბანული ტრანსპორტი) დასწავლება შესყიდვების, ხელშეკრულებების მართვის, უსაფრთხოებისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების საკითხებში.

2. თუ სხვა რამ არ იქნა შეთანხმებული მსესხებელსა და ADB-ს შორის, მოსალოდნელია, რომ PRF აქტივობები ხელს შეუწყობს ურბანულ და ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან და სერვისებთან დაკავშირებული შემდგომი პროექტებისთვის მომზადებას, რომლებიც დააკმაყოფილებს შერჩევის ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

(ა) <u>რელევანტურობა</u>: შეესაბამება მსესხებლისა და ADB-ის პრიორიტეტებს ურბანული სექტორის განვითარების საკითხებში, რაც განსაზღვრულია ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგიით ან ქვეყანაში ოპერაციების წარმოების მიზნეს-გეგმით;

(ბ) <u>უსაფრთხოება</u>: აკმაყოფილებს SPS-ის მოთხოვნებს;

(გ) <u>ტექნიკური მხარე</u>: განმახორციელებელი უწყება(ები) და/ან შემსრულებელი უწყება(ები) თანახმაა ჩაატაროს საჭირო დეტალური ანალიზი კლიმატის ცვლილების რისკთან დაკავშირებით და გაითვალისწინოს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ღონისძიებები დეტალური საპროექტო საქმიანობის ფარგლებში;

(დ) <u>მართვა</u>: შეფასდა, რომ შემოთავაზებული შემსრულებელი უწყება(ები) და/ან შემსრულებელი უწყება(ები) საკმარისია და მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ განახორციელონ სათანადო ფინანსური მართვა და შესყიდვის ღონისძიებები. თუ კონკრეტული შემოთავაზებული შემსრულებელი უწყებების და/ან შემსრულებელი უწყება(ები) შესაძლებლობები არასაკმარისად შეფასდა, განმახორციელებელ უწყებას მოეთხოვება თანხმობა განაცხადოს ADB-ის მიერ შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებაზე; და

(ე) <u>მდგრადობა</u>: განმახორციელებელი უწყება და/ან შემსრულებელი უწყება(ები) თანახმაა პროექტის ფარგლებში გაითვალისწინოს ღონისძიებები პროექტის მდგრადობის გასაუმჯობესებლად (მაგალითად სატარიფო რეფორმები ხარჯების ანაზღაურების მიზნით).

3. PRF აქტივობების დასრულება იგეგმება 2023 წლის 31 აგვისტოსთვის.

გაწრიგი 2

ამორტიზაციის გაწრიგი

1. ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია სესხის ძირითადი თანხის გადახდის თარიღები და სესხის მთლიანი ძირითადი თანხის პროცენტი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის (სესხზე შეწატანი). იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები მთლიანად უნდა ყოფილიყო ათვისებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარი პირველი გადახდის თარიღისათვის, სესხის ძირითადი თანხის ოდენობა, რომელიც მსესხებლის მიერ უნდა დაიფაროს სესხის ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის განისაზღვრება ADB-ის მიერ, გამრავლდება რა: (ა) სესხის ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღისათვის მთლიანად ათვისებული და დაუფარავი სესხის ძირითადი თანხა (ბ) სესხზე შეწატანზე, ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის.

გადახდის თარიღი	სესხზე შეწატანი (პროცენტებში)
15 თებერვალი 2023	0.542983
15 აგვისტო 2023	0.624431
15 თებერვალი 2024	0.718095
15 აგვისტო 2024	0.823809
15 თებერვალი 2025	0.949681
15 აგვისტო 2025	1.092133
15 თებერვალი 2026	1.255953
15 აგვისტო 2026	1.444346
15 თებერვალი 2027	1.660997
15 აგვისტო 2027	1.910147
15 თებერვალი 2028	2.196669
15 აგვისტო 2028	2.526169
15 თებერვალი 2029	2.905095
15 აგვისტო 2029	3.340859
15 თებერვალი 2030	3.841988
15 აგვისტო 2030	4.418286
15 თებერვალი 2031	5.081029
15 აგვისტო 2031	5.843183
15 თებერვალი 2032	6.719661
15 აგვისტო 2032	7.727610
15 თებერვალი 2033	8.886752
15 აგვისტო 2033	10.219764
15 თებერვალი 2034	11.752729
15 აგვისტო 2034	13.515631
სულ	100.000000

2. იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები მთლიანად არ არის გამოთხოვილი და ათვისებული ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებლის მიერ სესხის ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისთვის ძირითადი თანხის გადასახდელი ოდენობა დგინდება შემდეგნაირად:

(ა) იმ შემთხვევაში თუ სესხის თანხების ნაწილი გამოთხოვილია ძირითადი თანხის დაფარვის პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებელმა უნდა დაფაროს გამოთხოვილი და შესაბამისი თარიღისთვის გადაუხდელი თანხა ამ გაწრიგის პირველი პუნქტის შესაბამისად; და

(ბ) ნებისმიერი თანხა, რომლის გამოთხოვაც მოხდა ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღის შემდეგ, უნდა იქნას გადახდილი ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისთვის, რომელიც დადგება აღწერილი გამოთხოვის შემდეგ, იმ ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს ADB ყოველი ასეთი გამოთხოვილი თანხის გამრავლებით წილადზე, რომლის მრიცხველიც იქნება

სესხზე თავდაპირველი შენატანი, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე განრიგის პირველ პუნქტში მოცემულ ცხრილში, ძირითადი თანხის შესაბამისი გადახდის თარიღისთვის (სესხზე თავდაპირველი შენატანი), ხოლო მნიშვნელი იქნება ამ თარიღისთვის ან ამ თარიღის შემდეგ დარჩენილი ძირითადი თანხის გადახდის თარიღების შესაბამისი თავდაპირველი შენატანების ჯამი.

3. გამოთხოვა, რომელიც განხორციელდა ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღამდე ორი კალენდარული თვის განმავლობაში, ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდის თარიღისთვის ძირითადი თანხის დაფარვისათვის გადასახადი თანხის გამოთვლის მიზნით, იქნება ჩათვლილი როგორც ათვისებული და გადაუხდელი, გამოთხოვის თარიღიდან ძირითადი თანხის დაფარვის შემდგომი თარიღისათვის და იქნება გადასახდელი ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღში, დაწყებული ათვისების თარიღის შემდეგ დამდგარი ძირითადი თანხის შემდგომი გადახდის თარიღიდან.

4. მიუხედავად ამ განრიგის პირველ და მეორე პუნქტებში შესული დებულებებისა, ათვისებული სესხის ძირითადი თანხის მთლიანი ან მისი ნებისმიერი ნაწილის დამტკიცებულ ვალუტაში კონვერტირებისას, დამტკიცებულ ვალუტაში კონვერტირებული თანხა, რომელიც უნდა იქნას გადახდილი ძირითადი თანხის დაფარვის მიზნით რომელიმე გადახდის თარიღში, რომელიც დადგება კონვერტირების პერიოდის განმავლობაში, იქნება განსაზღვრული ADB-ის მიერ კონვერტაციამდე თავის ვალუტაში გამოსახული აღნიშნული თანხის გამრავლებით ერთ-ერთზე მომდევნო ორიდან: (ა) გაცვლით კურსზე, რომელიც ასახავს ძირითად თანხას აღნიშნულ დამტკიცებულ ვალუტაში, რომლის გადახდაც ხდება ADB-ის მიერ ვალუტის ჰეჯირების ტრანზაქციის ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ კონვერტირებასთან; ან (ბ) იმ შემთხვევაში, თუ ADB ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, კონვერტაციის პრინციპების შესაბამისად, გამოცხადებულ გაცვლით კურსზე.

5. თუ სესხის ათვისებული და გადაუხდელი ძირითადი თანხა დროდადრო იქნება გამოსახული ერთზე მეტ სასესხო ვალუტაში, ამ განრიგში მოცემული დებულებები ცალ-ცალკე გამოიყენება სესხის ყოველ ვალუტაში განსაზღვრული თანხის მიმართ, ისე რომ მიღებული იქნას ცალკე ამორტიზაციის განრიგი ყოველი ასეთი თანხისთვის.

განრიგი 3

სასესხო თანხების გამოთხოვა და მიღება

ზოგადი დებულება

1. წინამდებარე განრიგზე ცხრილში განსაზღვრულია იმ ხარჯების კატეგორიები, რომლებიც უნდა დაფინანსდეს სესხის თანხებიდან, აგრეთვე თითოეული კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხების ოდენობა („ცხრილი"). („კატეგორია" ამ განრიგში აღნიშნავს ცხრილში მოცემულ „კატეგორიას").

სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის საფუძველი

2. თუ ADB-თან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სესხის თანხების გამოყოფა ხარჯების კატეგორიებისათვის და სესხის თანხების ჩამორიცხვა მოხდება ცხრილში ჩამოთვლილი ხარჯების კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლების საფუძველზე.

პროცენტი

3. გამოყოფილი თანხა კატეგორიისთვის „სესხის პროცენტის გადასახდელები" განკუთვნილია პროცენტისა გადასახდელების დასაფინანსებლად პროექტის განხორციელების პერიოდის განმავლობაში. ADB-ს შეუძლია სასესხო ანგარიშიდან გაიტანოს და მსესხებლის სახელით, თავის სასარგებლოდ გადაიხადოს თანხა, სესხის პროცენტისა გადასახდელთან დაკავშირებული დანახარჯების დასაფარად მაშინ, როცა დაფარვის დრო დადგება.

რეალოკაცია

4. მიუხედავად ცხრილში მოცემული სესხის თანხების გამოყოფისა და თანხების პროცენტული განაწილებისა

(ა) თუ წევრისმიერი კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა არასაკმარისი აღმოჩნდება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული დანახარჯის დასაფინანსებლად, მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, ADB-ს შეუძლია (i) ამ კატეგორიის სავარაუდო დეფიციტის შესავსებად ხელახლა გადაანაწილოს ასეთ კატეგორიაზე თანხა, კერძოდ, სესხის ის თანხები, რომლებიც სხვა კატეგორიისათვის იყო გათვალისწინებული, და ამავდროულად, ADB-ის მოსაზრებით, არ არის საჭირო სხვა დანახარჯების დასაფინანსებლად; და (ii) თუ ასეთი გადანაწილებით ვერ მოხერხდება სავარაუდო დეფიციტის სრულად შევსება, ADB-ს შეუძლია შეამციროს ამ ხარჯვითი კატეგორიით გათვალისწინებული თანხის პროცენტული მაჩვენებელი, რათა ხარჯვითი კატეგორიით გათვალისწინებული თანხის შემდგომში გატანა გაგრძელდეს, სანამ დეფიციტი არ შეივსება; და

(ბ) თუ რომელიმე კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა აღემატება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული ხარჯების ოდენობას, ADB-ს შეუძლია, მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, ასეთი ზედმეტი თანხა სხვა კატეგორიებზე გადაანაწილოს.

ჩამორიცხვის პროცედურები

5. თუ ADB-თან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სასესხო ანგარიშიდან სესხის თანხების ჩამორიცხვა განხორციელდება სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

რეტროაქტიური დაფინანსება

6. სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვა შეიძლება განხორციელდეს წინადადებული RPF აქტივობების დანახარჯების დასაფინანსებლად, რომლებიც განხორციელდა PRF აქტივობების შესაბამისად წინამდებარე სასესხო შეთანხმების ძალში შესვლის დღემდე, მაგრამ არაუგვიანეს 12 თვისა ამ სასესხო შეთანხმების გაფორმებამდე საკონსულტაციო მომსახურებებთან და პროექტის განხორციელების წინა მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ამგვარი ხარჯების მაქსიმალური თანხა სესხის თანხის 20%-ის ეკვივალენტს შეადგენს.

<u>განრიგი 3-ის დანართი</u>

ცხრილი

სასესხო თანხების გამოყენება და გამოთხოვა			
ნომერი	დასახელება	ADB-ის მიერ დაფინანსებისათვის გამოყოფილი ეკამური თანხა	სასესხო ანგარიშიდან თანხის გატანის საფუძველი
		კატეგორია	
1	საკონსულტაციო მომსახურეობები, FSEDPS, ICBIMUIS და აუდიტი	€ 12,270,000	მთლიანი ხარჯის 100%*
2	პროექტი განხორციელების პერიოდში	€ 50,000	მთლიანი ხარჯის 100%*
3	გაუწაწილებელი	€ 1,230,000	
	სულ	€ 13,550,000	

FSEDPS - ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, საინჟინრო სამუშაოები, დიზაინი და შესყიდვების პროცესში დახმარება; ICBIMUIS - ურბანული ინფრასტრუქტურის განხორციელების და მართვის ინსტიტუციური განვითარება.

*თავისუფლდება მსესხებლის ტერიტორიაზე დაკისრებული გადასახადებისა და ვალდებულებებისგან

გაზრიები 4

PRF აქტივობების განხორციელება

განხორციელება

1. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ან შექმნას პირობები რათა PRF-ის განმახორციელებელმა უწყებამ ან PRF-ის შემსრულებელმა უწყებებმა უზრუნველყონ PRF აქტივობების განხორციელება PAM-ში განსაზღვრული დეტალური ღონისძიებების შესაბამისად. PAM-ში რაიმე სახის შემდგომი ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ PRF-ის განმახორციელებელი უწყებას და ADB-ის მიერ დამტკიცების შემდეგ. PAM-სა და სასესხო შეთანხმებას შორის რაიმე სახის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე სასესხო შეთანხმებაში შესულ დებულებებს.

უსაფრთხოების ზომები

2. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს და/ან შექმნას პირობები რათა PRF-ის განმახორციელებელმა უწყებებმა ან PRF-ის შემსრულებელმა უწყებებმა უზრუნველყონ, რომ PRF აქტივობები არ იწვევდეს ზემოქმედებას გარემოზე, მკვიდრ მოსახლეობაზე და არ იწვევდეს ზემოქმედებას იძულებითი განსახლების თვალსაზრისით, SPS-ში განსაზღვრული მნიშვნელობით.

აკრძალული ინვესტირების სფეროთა ჩამონათვალი

3. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს და/ან შექმნას პირობები რათა PRF-ის განმახორციელებელმა უწყებებმა ან PRF-ის შემსრულებელმა უწყებამ უზრუნველყონ, რომ სესხის თანხები არ იქნას გამოყენებული იმ საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც მოცემულია აკრძალული ინვესტირების სფეროთა ჩამონათვალში, SPS-ის მე-5 გაზრიგის შესაბამისად.

შესყიდვები

4. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს და/ან შექმნას პირობები რათა PRF-ის განმახორციელებელმა უწყებებმა ან PRF-ის შემსრულებელმა უწყებებმა უზრუნველყონ, რომ

(ა) მომსახურებების შესყიდვა განხორციელდეს შესყიდვის პოლიტიკისა და შესყიდვის ინსტრუქციების შესაბამისად;

(ბ) მომსახურებების შესყიდვა უნდა განხორციელდეს შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული დეტალური გეგმების შესაბამისად, რაც მოიცავს შესყიდვისა და შერჩევის მეთოდებს, სატენდერო დოკუმენტაციის ტიპს და ADB-ის მიერ განხილვის მოთხოვნებს. მსესხებელი უფლებამოსილია შეცვალოს შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული დეტალური გეგმები მხოლოდ ADB-ის წინასწარი თანხმობის საფუძველზე და მსგავსი ცვლილებები უნდა განისაზღვროს შესყიდვის გეგმის შესწორებების ნაწილში.

(გ) (i) არცერთი მომსახურების მიღებისას ადგილი არ ჰქონდეს რომელიმე მესამე მხარის სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას ან მესამე მხარის მხრიდან პრეტენზიას; და (ii) მომსახურებების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ყველა კონტრაქტი შეიცავდეს სათანადო დებულებებს, გარანტიებს და საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორის ან მომსახურების მიმწოდებლის მიერ ზარალის ანაზღაურების გარანტიას, ამ პუნქტშიორგან მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

პარტნიორის მხარდაჭერა

5. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ PRF-ის განმახორციელებელმა უწყებამ ჰქონდეთ საკმარისი სახსრები, რათა დააკმაყოფილონ მომსახურების კონტრაქტიდან გამომდინარე ვალდებულებები.

მმართველობა და დონისძიებები კორუფციის წინააღმდეგ

6. მსესხებელმა, PRF-ის განმახორციელებელმა უწყებებმა და PRF-ის შემსრულებელმა უწყებებმა უნდა (ა) იმოქმედონ ADB-ის ანტიკორუფციული პოლიტიკის (1998 წლის ვერსია, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) და გააცნობიერონ, რომ ADB იტოვებს უფლებას, საკუთარი ძალებით, ან წარმომადგენლების საშუალებით გამოიკვლიოს PRF აქტივობებთან დაკავშირებული წესისმიერი კორუფციის, თაღლითობის, ფარული მოლაპარაკებისა ან ძალადობის ფაქტები; და (ბ) ითანამშრომლონ ასეთი სახის წესისმიერ გამოძიებასთან და გაუწიონ მას ყველანაირი საჭირო დახმარება გამოძიების წარმატებით დასრულების მიზნით.

7. მსესხებელმა PRF-ის განმახორციელებელი უწყების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს, რათა PRF-ის შემსრულებელმა უწყებებმა უზრუნველყონ, რომ ყველა სატენდერო დოკუმენტში და კონტრაქტში შევიდეს ADB-სათვის მისაღები ანტიკორუფციული დებულებები, იმ დებულებების ჩათვლით, სადაც კონკრეტულად არის განსაზღვრული ADB-ს უფლება ჩაატაროს პროექტთან დაკავშირებული PRF-ის განმახორციელებელი და შემსრულებელი სააგენტოების, აგრეთვე ყველა კონტრაქტორის, მომწოდებლის, კონსულტანტის და სხვა მომსახურების მომწოდებლის ჩანაწერებისა და ანგარიშების აუდიტი.

REGISTRATION No 0903/1-19
DATE 10.12.2020
CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU